№111/01-01 29.06.2016

## საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების

## ტრენინგ-კურსი

| | |
|---|---|
| **კურსის სახელწოდება:** | ტრენინგი უმაღლესი განათლების აკადემიური პერსონალისათვის<br>Training for Higher Education Academic Staff<br>**I მოდული**<br>კურიკულუმის და სილაბუსის შემუშავება<br>Development of Curriculum and Syllabus<br>**II მოდული**<br>სწავლებისა და შეფასების მეთოდები უმაღლეს სასწავლებლებში<br>Teaching and Assessment Methods in Higher Education<br>**III მოდული**<br>მიკრო-სწავლება<br>Micro-teaching |
| **კურსის მოცულობა:** | 40 საათი<br>**I მოდული** - 15 საათი<br>**II მოდული** - 15 საათი<br>**III მოდული** - 10 საათი |
| **კურსის ხელმძღვანელები** | ირინე დარჩია<br>შალვა ტაბატაძე<br>ქეთევან ცინცაძე |

| | |
|---|---|
| **კურსის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსები** (გთხოვთ, თან დაურთოთ CV) | ირინე დარჩია,<br><br>შალვა ტაბატაძე<br><br>ქეთევან ცინცაძე |
| **სწავლების ენა:** | ქართული |
| **სამიზნე ჯგუფი:** | (ა) უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები;<br><br>(ბ) უმაღლესი სასწავლებლების დოქტორანტები |
| **კურსში ჩართვის წინაპირობა მსმენელთათვის:** | წინაპირობის გარეშე.<br><br>მსმენელს შეუძლია აირჩიოს სამივე მოდული ან აირჩიოს მხოლოდ მისთვის საინტერესო ერთი ან ორი მოდული. |
| **კურსის მიზანი:** | პროგრამის მიზანია, დაეხმაროს უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებს სწავლების პროცესის დაგეგმვასა და გაუმჯობესებაში.<br><br>პროგრამის კონკრეტული ამოცანები:<br><br>• თანამედროვე საუნივერსიტეტო კურიკულუმის და სილაბუსის შემუშავების ძირითადი პრინციპების სწავლება, ბოლონიის პროცესის, საქართველოს კანონმდებლობისა და საავკრედიტაციო მოთხოვნების შესაბამისად. სწავლისა და სწავლების თეორიების გააზრება უმაღლესი განათლების კონტექსტში;<br><br>• კურსის დაგეგმვის, დიზაინის და შეფასების შესახებ ცოდნისა და უნარების განვითარება;<br><br>• უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების სხვადასხვა მეთოდების გაცნობა; |

| | |
|---|---|
| | • სტუდენტთა შეფასების სხვადასხვა სტრატეგიებისა და ტექნიკის გაცნობა;<br>• სწავლების ძირითადი უნარების გაღრმავება;<br>• კოლეგების გამოცდილების და საუკეთესო პრაქტიკების გაზიარება; |
| **სწავლის შედეგები:** | **კურსის გავლის შემდეგ მსმენელებს ეცოდინებათ:**<br>- ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე ძირითადი პროცესების, საუნივერსიტეტო კურიკულუმის და სილაბუსის შემუშავების ძირითადი პრინციპები შესახებ;<br>- სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პოცესის დაგეგმვის პრინციპები;<br>- სწავლება/სწავლის აქტიური და ეფექტიანი მეთოდები უმაღლეს სასწავლებლებში;<br>- შეფასების მრავალფეროვანი ხერხები და ინსტრუმენტები;<br>- მიკროსწავლების ძირითადი პრინციპები და მეთოდები;<br><br>**შეძლებენ:**<br>- საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და შეფასებას;<br>- სილაბუსის წერასა და შეფასებას;<br>- თეორიული ცოდნის სასწავლო პროცესში გამოყენებას და კომპლექსური პრობლემის ამოცნობასა და გადაჭრას შესაბამისი პედაგოგიურ-ეთიკური ნორმების გამოყენებით;<br>- სწავლების პროცესის სტუდენტთა თავისებურებებთან წარმატებით მისადაგებას;<br>- სასწავლო პროგრამის სწორ დაგეგმვასა და ორგანიზებას;<br>- სწავლება/სწავლის პროცესის ძირითადი პრინციპების, მეთოდების, ორგანიზაციის ფორმების, შეფასების ფორმებისა და მეთოდების |

| | |
|---|---|
| | ეფექტურად გამოყენებას;<br>- სტუდენტთა საჭიროებების დადგენას და სწავლების პროცესში მათ გათვალისწინებას;<br>- სხვადასხვა საკითხის სხვადასხვა პერსპექტივით განხილვას და მიდგომების ტრანსფორმირებასა და ადაპტირებას;<br>- სტუდენტთა მრავალმხრივ შეფასებას და შეფასების ძირითადი პრინციპების დაცვას;<br>- ლოგიკურ მსჯელობას, სწორი დასკვნების გამოტანასა და პედაგოგიური ცნებებით ოპერირებას; |
| **სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:** | სასწავლო პროცესი წარიმართება არაუმეტეს 24 კაციან ჯგუფებში (გარდა მიკრო-სწავლებისა, სადაც მსმენელთა მაქსიმალური რაოდენობა შეადგენს 10 მსმენელს).<br>გამოყენებული იქნება შემდეგი მეთოდები: ვერბალური და დემონსტრაციის მეთოდები, დისკუსია, გონებრივი იერიში, შემთხვევის ანალიზი, ჯგუფში მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), სავარჯიშო. |
| **სერტიფიკატის გაცემის კრიტერიუმები** | კურსის დასრულების შემდეგ გაიცემა კურსში მონაწილეობის სერტიფიკატი.<br><br>მსმენელს შეუძლია გაიაროს მთლიანი კურსი ან აირჩიოს მისთვის სასურველი მოდული და მიიღოს შესაბამისი სერტიფიკატი. |
| **კურსის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ–ტექნიკური რესურსები:** | კურსის განხორციელებისთვის აუცილებელია კომპიუტერით/ლეპტოპით, პროექტორით აღჭურვილი აუდიტორია. შეუფერხებელი წვდომა ინტერნეტზე. ე.წ. ფლიპ-ჩარტი და ფერადი ფლომასტერები. |

## კურსის სტრუქტურა და შინაარსი

**I მოდული** - კურიკულუმის და სილაბუსის შემუშავება

| # | თემა / სესია | საათების რაოდენობა თითოეული თემისათვის | მეთოდები | სასწავლო მასალა* |
|---|---|---|---|---|
| 1 | რას ნიშნავს სწავლის შედეგზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროგრამა. დუბლინის დესკრიპტორი. ევროპის კვალიფიკაციათა ჩარჩო. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩო. თუნინგის მეთოდოლოგია. ბრიტანეთის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს დარგობრივი სტანდარტები. თუნინგის მიდგომების გამოყენება საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში. | 3 სთ. | ვერბალური და დემონსტრაციის მეთოდები, დისკუსია, გონებრივი იერიში. | საგანმანათლებლო სტრუქტურების ურთიერთშეწყობა ევროპაში, უნივერსიტეტების წვლილი ბოლონიის პროცესში, თბილისი 2008, 113 გვერდი; საგანმანათლებლო სტრუქტურების ურთიერთშეწყობა ევროპაში, უნივერსიტეტების წვლილი ბოლონიის პროცესში, შესავალი, თბილისი 2009, 153 გვერდი; თუნინგის მიდგომების გამოყენება საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში, პროექტის ანგარიში, თბილისი 2009, 150 გვერდი; http://www.qaa.ac.uk |
| 2 | ECTS (European Credit Transfer System) - ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემა. სტუდენტთა მობილობა და კრედიტების | 3 სთ. | ვერბალური და დემონსტრაციის მეთოდები, დისკუსია, გონებრივი | კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS), სახელმძღვანელო, |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | აღიარება. | | იერიში, შემთხვევის ანალიზი, ჯგუფში მუშაობა | თბილისი 2009, 68 გვერდი. |
| 3 | სწავლის შედეგები. ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციები. | 3 სთ. | ვერბალური და დემონსტრაციის მეთოდები, დისკუსია, გონებრივი იერიში, შემთხვევის ანალიზი. | ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციები: შესწავლა, სწავლება, შეფასება, გამომცემლობა „საიმედო“, თბილისი 2008, 249 გვერდი. |
| 4 | საგანმანათლებლო პროგრამების პროფილი, მათი საკვალიფიკაციო დახასიათება, მათი შემუშავება და შეფასება. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხები ქართულ და დასავლურ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში. | 3 სთ. | ვერბალური და დემონსტრაციის მეთოდები, დისკუსია, გონებრივი იერიში, ჯგუფში მუშაობა. | ავტორიზაციის და აკრედიტაციის სტანდარტები. |
| 5 | სილაბუსის შემუშავება და შეფასება. | 3 სთ. | ვერბალური და დემონსტრაციის მეთოდები, დისკუსია, გონებრივი იერიში, შემთხვევის ანალიზი, ჯგუფში მუშაობა. | ავტორიზაციის და აკრედიტაციის სტანდარტები. |

**II მოდული** - სწავლებისა და შეფასების მეთოდები უმაღლეს სასწავლებლებში

| # | თემა / სესია | საათების რაოდენობა თითოეული თემისათვის | მეთოდები | სასწავლო მასალა* |
|---|---|---|---|---|
| | 1. სწავლა და სწავლება უმაღლეს სასწავლებლებში (სტუდენტთა | 5 საათი | ბრეინსტორმინგი; | 1. ჰენდაუთები; |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | სწავლის გააზრება; სტუდენტთა მოტივირება; ცვლილებები სწავლების მიდგომებში 21-ე საუკუნეში; სწავლა-სწავლების დაგეგმვა; სხვადასხვა ზომის ჯგუფებთან სწავლება; | | ჯგუფური მუშაობა<br><br>პრეზენტაციები;<br><br>დისკუსია;<br><br>დებრიფინგი/ფასილიტატორის პრეზენტაცია | 2. Power Point პრეზენტაცია;<br><br>3. სესიის წასაკითხი ლიტერატურა ინგლისურ ენაზე და ქართულ ენაზე პრეზენტაციების ჰენდაუთები:<br><br>A Handbook for Teaching and Learning in Higher Education Enhancing Academic Practice Edited by Heather Fry, Steve Ketteridge, Stephanie Marshal |
| | 2. სწავლების მეთოდები უმაღლეს სასწავლებლებში<br><br>(1. ლექცია; (2) დისკუსია; (3) პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; (4) პროექტული სწავლება; (5) თანამშრომლობითი სწავლება; (6) პრაქტიკული მაგალითის განხილივით სწავლება; (7) გონებრივი იერიში; (8) დისკუსია, დებატი; | 5 საათი | ბრეინსტორმინგი;<br><br>ჯგუფური მუშაობა<br><br>პრეზენტაციები;<br><br>დისკუსია;<br><br>დებრიფინგი/ფასილიტატორის პრეზენტაცია | 1. ჰენდაუთები;<br><br>2. Power Point პრეზენტაცია;<br><br>3. სესიის წასაკითხი ლიტერატურა ინგლისურ ენაზე და ქართულ ენაზე პრეზენტაციების ჰანდაუთები:<br><br>1. A Handbook for Teaching and Learning in Higher Education Enhancing Academic Practice Edited by Heather Fry, Steve Ketteridge, Stephanie Marshal;<br><br>2. Problem-based Learning in Higher Education: Untold Stories Maggi Savin-Baden;<br><br>3. Guide to Curriculum Design: Enquiry-Based |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | Learning by Peter Kahn and Karen O'Rourke |
| | 3. შეფასების მიდგომები, ტექნიკა და სტრატეგიები უმაღლეს სასწავლებლებში (რა არის კურსის შეფასება;შეფასება, როგორც სწავლა-სწავლების ეფექტური ინსტრუმენტი, სასწავლო კურსის მიზნების და მოსალოდნელი შედეგების და შეფასების სისტემის ურთიერთკავშირი; შეფასების ტიპები და ინტრუმენტები; შეფასების ინტერპრეტაცია) | 5 საათი | (1) ვიდეო ჩვენება;<br>(2) დისკუსია;<br>(3) ჯგუფური მუშაობა;<br>(4) დებრიფინგი/ფასილიტატორის პრეზენტაცია | ჰენდაუთები;<br>2. Power Point პრეზენტაცია;<br>3. სესიის წასაკითხი ლიტერატურა ინგლისურ ენაზე და ქართულ ენაზე პრეზენტაციების ჰანდაუთები:<br>1. COURSE-Based Review and Assessment; Methods for Understanding Student Learning<br>office of Academic Planning & Assessment of University of Massachusetts Amherst |

## III მოდული - მიკრო-სწავლება

| # | თემა / სესია | საათების რაოდენობა თითოეული თემისათვის | მეთოდები | სასწავლო მასალა* |
|---|---|---|---|---|
| 1 | შესავალი მიკროსწავლებაში (მიკროსწავლების მიზნები და ამოცანები; მიკროსწავლების ძირითადი მახასიათებლები);<br>მიკროსწავლების ძირითადი უნარები (გაკვეთილის (ლექციის/სემინარის) დაწყების უნარი; ახალი მასალის ახსნის უნარი; მოტივირების უნარი; ჯგუფის მართვის უნარი; | 5 | თემის პრეზენტაცია;<br>დისკუსია;<br>გონებრივი იერიში;<br>ინდივიდუალური მუშაობა;<br>ჯგუფური მუშაობა; | სპეციალურად ტრენინგისათვის მომზადებული პრეზენტაციები, მასალები. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | დროის მენეჯმენტის უნარი; კითხვების დასმის უნარი; და ა.შ.)<br><br>მიკროსწავლების ციკლი (მიკროსწავლების სესიის დაგეგმვა, განხორციელება, უკუკავშირი). | | | |
| 2 | თვითშეფასება და მიკროსწავლების სესიების განმეორებით დაგეგმვა, განხორციელება და უკუკავშირის მიღება;<br><br>ფასილიტატორის კომენტარები და რეკომენდაციები;<br><br>სწავლების შეჯამება. | 5 | თემის პრეზენტაცია;<br><br>დისკუსია;<br><br>გონებრივი იერიში;<br><br>ინდივიდუალური მუშაობა;<br>ჯგუფური მუშაობა; | სპეციალურად ტრენინგისათვის მომზადებული პრეზენტაციები, მასალები. |